№ 6 1883—1901 15—30 მარტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწყემსი

ოფიციალური განყოფილება

მოძღვრის საუბარი

იერუსალიმისა და წმ. ქვეყნის მართლ-მადიდ. დახმარებაზე.

> სიონისათვის არა დავდუმნე და იერუსალიმისათვის არა დავაცადო, ვიდრემდის გამოვიდეს, ვითარცა ნათელი, სიმართლე მისი, ხოლო მაცხოვარება მისი, ვითარცა ლამპარი, აღენთოს (ისაია 62, 1).

ერთი ვინმე, კარგად მცოდნე აღთქმის ქვეყანისა ამბობს: რომ შევაგროვოთ ყველა ცრემლები, დაღვრილნი გოლგოთის მთაზე ქრისტიანეთა მიერ, ზღვის უფსკრული ვერ დაიტევდა მათ, რომ შევაგროვოთ ქრისტიანების სისხლი, დაღვრილი ქრისტეს საფლავის შეძენისათვის, წყალს აღარ ექმნებოდა ალაგი მდინარეებში და რომ შევკრიბოთ ყველა მსხვერპლი, რომელიც ქრისტიანებმა შესწირეს ახალი აღთქმის ტაძარს, შესაძლო იქმნებოდა მთელი მსოფლიოს შეძენა. მიუხედავად ამისა, ეს ტაძარი დღესაც კი მაჰმადიანთა მფლობელობაშია. მაგრამ, ღვთის მადლით, დადგება დრო და, შეიძლება მოახლოვებულიც იყოს, როცა განგება ღვთისა შესცვლის დღეინდელს წყობილებას, და რაღა ვიქმნებით ჩვენ მაშინ? აი, ეს არის დღეს წმიდა ქვეყანაში იბადება მოდვაწეობა რუსთა, ჯერ როგორც ახალი ნორჩი ღერო ხისა, როგორც პატარა ნაკადული, შემდეგ-კი—გარდაიქცევა მრავალ-ნაყოფიერ ხედ, ფართო მდინარედ და, შესაძლოა გახდეს მართლ-მადიდებელ რუსთა ცხოვრების ზღვადაც. სწორედ ამისათვის ყოველს შვილს მართლ-მადიდებელის ეკლესიისას მართებს ხელი შეუწყოს ამ საქმის განმტკიცებას და გაძლიერებას წმიდა ქვეყანაში. „სიონი დედა არისო და იქ დაიბადა ადამიანიო“, იტყვის საღმრთო საგალობელი, როცა ის გამოგვიხატავს ადამიანის დაბადებას ქრისტეს იესოს მიერ, რომელიც ასწავლიდა და ივნო იერუსალიმში. აი მიზეზი, რომლის გამო ათასობით მიესწრაფება ჩვენი ხალხი და ნელ-ნელად ისაკუთრებს სულიერად აღთქმის ქვეყანას თვისი კავშირით მასთან და იმათთან, რომელთაც კარგად უწყიან სიწმიდე და კეთილ-მსახურება ჩვენის ერისა,—თვისებები, რომლებიც უნებლიედ მიიზიდვენ თვისაკენ მრავალთა გულსა. საქმე, რომელსაც ასრულებს დღეს რუსეთის ერი წმ. ქვეყანაში საიმპერ. პალესტინის საზოგადოების შემწეობით, უმაგალითოა რუსეთის ათას-წლოვან ისტორიაში. ძველად რუსებს შეჰქონდათ ნათელი ქრისტესი იმ უცხო ტომის პატარა ხალხებში, რომლებიც რუსეთშივე მკვიდრობენ. აღთქმის ქვეყანაში კი რუსები მოქმედებენ ძველს ქრისტიანულს ნიადაგზედ. მართლ-მადიდებლობის წარმომადგენელად აღთქმის ქვეყანაში არის პალესტინის საიმპერატორო საზოგადოება. ამ საზოგადოებამ, მსგავსად წმიდა რუსეთისა, თვისი განუსაზღვრელის სიყვარულით შეიტკბო და შეაერთა აღთქმის ქვეყნის ყველა თანამედროვე მცხოვრებნი. აგრეთვე ეს საზოგადოება დიდად აფასებს და გულ-მოდგინედ აღადგენს ყვე-

ლაფერს, რაც კი მართლ-მადიდებლობას მოგვაგონებს აღთქმის ქვეყანაში. ამისათვის, ყოველი მართლ-მადიდებელი ქვეშევრდომი რუსეთის სახელმწიფოისა, ვალდებულია სულით და გულით მიემხროს პალესტინის საზოგადოებას, როგორც უწმიდესს და უმაღლესს სამშობლო საქმეს. ვსთქვათ, უფალმა ღმერთმა არ ინება ჩვენ, რუსთა მიერ, სავსებით აღსრულება მისა, რაც მხოლოდ შესაძლოა აღსრულდეს წმიდა ქვეყანაში, ღვთის ნებითა. მაგრამ მხოლოდ ერთი მოწყალებრივი შემწეობაც-კი აღთქმის ქვეყანაში ღარიბ მოგზაურთა, მხოლოდ ხელის შეწყობა აღთქმის ქვეყნის ჯეროვანად მეცნიერულის შესწავლისა და მართლ-მადიდებლობის შემაგრება, დიდის ღირსების და ძვირფასი საქმე იქნება წინაშე კაცთა და ღვთისა.

საქრისტიანო დასავლეთი და სამაჰმადიანო აღმოსავლეთი სულ სხვა და-სხვა აზრით უყურებენ რუსთა შრომას აღთქმის ქვეყანაში. ნუ შევარცხვენთ რუსეთის ქვეყანას წმიდა ქვეყანაში! უფალი ღმერთი, რუსეთის სახელმწიფოს დიდის წყალობითა მასაზრდოებელი ათასის წლის განმავლობაში, მოუწოდებს რუსებს დღეს, რათა მან თვისის გარდამეტებულის ნივთიერის დოვლათიდგან მიაწოდოს მოყვასთა თვისთა შემწეობა, მანვე უჩვენა საუკუნო წყალობითა თვისითა აღთქმის ქვეყანა, სადაც ცხოვრებდა, ასწავლიდა ჭეშმარიტებას, ივნო, მოკვდა და აღსდგა ძე მისი, რათა წარვიდეს იგი ამ ახალს მისთვის აღთქმულს ქვეყანაში და მთელი კაცობრიობის საკეთილოდ განაძლიეროს იქ მიმკრთალებული ალი ქრისტეს სარწმუნოებისა. აი, რუსეთის მართლ-მადიდებელნო ერნო, უპირველესი ნაბიჯი, ღვთისაგან უზენაესად დანიშნული თქვენი მოწოდებისა. აი თქვენი პირველი საქმე საერთო კეთილ-დღეობის სასამსახუროდ, რომელიც გიჩვენათ თვით ღმერთმა, უცვლელმა კეთილის მყოფელმა, მაცხოვარმა და ზეციერმა მამამ. ამინ.

აღთქმის ქვეყნის საიმპერატორო მართლ-მადიდებელი საზოგადოება, მისის იმპერატორებითის უმაღლესობის, დიდის მთავრის სერგი აღექსანდრეს ძის თავმჯდომარეობის ქვეშე მეოთი.

მოწოდება

მართლ-მადიდებელ ქრისტიანეთადმი.

უკეთუ დაგივიწყო შენ, იერუსალიმ,
დაივიწყენ მარჯვენემცა ჩემი (ის. 62,1).

ასეთის ღრმა მნიშვნელოვანის სიტყვებით მიჰმართავს პალესტინის საიმპერატორო მართლ-მადიდებელი საზოგადოება საღმრთო ჭეშმარიტების ყოველ თანამგრძნობელსა. ქალაქი იერუსალიმი სახელოვანია მით, რომ მასში აღესრულენ უდიდესნი და უსამღრთოესნი შემთხვევანი ქრისტე მაცხოვრის ქვეყნიურის ცხოვრებისა. აქ შეასრულა მან ჩვენი ცხონება თვისი ვნებითა და სიკვდილითა, ოდეს ჯვარზედ ამაღლებულმან, ვითარცა ტარიგმან ღვთისამან, აღიხვნა ცოდვანი მთელის სოფლისა. გეთსამანიის ბაღი მორწყულია მაცხოვრის ცრემლებითა, და სულიერის შეჭირვებისა და გულითადის მწუხარებისა გამო მისი სახიდგან გადმომდინარე სისხლის ოფლითა; გოლგოთა განწმედილია წამებითა ქრისტესითა და პკურებულია მისი წმიდა და ძვირფასი სისხლითა. ბაღი არიმათიელისა ნაკურთხია ქრისტეს ყოვლად წმიდა სხეულის მასშინა დაფვლითა და სახელ-განთქმულია მისი დიდებული აღდგომითა; ზეთის ხილის მთა მოწამეა მაცხოვრის დიდებულის ზეცად ამაღლებისა. არა თუ მარტო ხსენებული ადგილები საღმრთონი არიან მორწმუნე გულისათვის, არამედ მთლადაც წმიდა ქვეყანა ღირსია საღმრთო და ლმობიერებითი მოგონებისა. მთელი ეს ქვეყანა ნაკურთხია ქრისტე მაცხოვარ ღმერთკაცის ფერხითა და სავსეა მისი კაცობრიობისადმი ურიცხვ სიყვარულის ნიშნებითა და საქმეებითა და აღსავსეა მისის საღმრთო მოძღვრებითა. ბეთლემი არის ადგილი მაცხოვრის ქვეყნად შობისა, ნაზარეთი აღზრდისა და კაცობრიობისათვის სამსახურად განმზადებისა; საღრმთო მდინარე იორდანე არის ალაგი ქრისტეს ნათლის-ღებისა იოანესაგან. ყველა ესენი იმისთანა ადგილებია, რომელთადმი უნებლიედ მიისწრაფვის მორწმუნე გული, აღვსებული სიყვარულისა და ლმობიერებითი პატივისა და თაყვანისცემისა ღრმა გრძნობებითა. ყველა ეს უნებლიედ გამოიწვევს კაცის გულში შემდეგ ფიცითს

სიტყვებსა: „უკეთუ დაგივიწყო შენ, იერუსალიმ, დაივიწყენ მარჯვენემცა ჩემი (ფსალ. 136, 5). ამის შემდეგ გასაკვირველიც არ არის, თუ იერუსალიმს და წმიდა ქვეყანას ყოველს დროს ჰქონდათ დიდი მიმზიდველი ძალა. ყოველის მხრითგან და მუდამ ჟამს მორწმუნენი მიეშურებოდნენ წმიდა ქვეყანაში და აღგზნებულნი იყვნენ მხურვალე სურვილითა ამბორს ეყოთ ქრისტეს საფლავისა და სხვათა დიდთა წმიდათა ადგილთათვის მას შინა. მხოლოდ ეს საღმრთო მოგზაურობანი, როგორც გამომხატველნი ადამიანის გულის მიდრეკილებისა, რომელიც მით ეძიებდა საბოლოოსა და უმაღლესს დაკმაყოფილებასა, წინანდელს დროში იყვნენ დიდად საშიშნი; მტერნი ქრისტესნი, რომელთაც ხელთ იგდეს ხსენებული საღმრთო ადგილები, ქრისტიან მოგზაურთა წმიდა ქვეყანაში დიდად ავიწროებდნენ და ხშირად შთაგდებდნენ უკიდურესს გაჭირვებაში. მაგრამ რასა ვხედავთ ახლა? დაუბრკოლებლობას და მშვიდობიანობას მოგზაურობის დროს, უზრუნველ-ყოფას წმიდა ადგილებში, წმიდა ადგილების ნახვის გაადვილებას, სიიაფეს ყველაფრისას. ასე რომ, ჩვენს დროში მიმოვლა წმიდა ადგილებისა, ხელ-მოკლე პირთათვისაც ადვილი შესაძლებელია. ყველა ეს ნაყოფი არის პალესტინის საიმპერატორო მართლ-მად. საზოგადოების მოქმედებისა, რომლის თავმჯდომარეა დიდი მთავარი სერგი ალექსანდრეს ძე, და რომელმა საზოგადოებამაც მიიღო თავის-თავზედ შრომა, გაუადვილოს თაყვანის-მცემელთა მოგზაურობა წმიდა ადგილებში და გააუმჯობესოს მათი ცხოვრება იქ. გარდა ამისა საზოგადოებას აქვს მეორე უდიდესი და უწმიდესი მიზანი: ეს არის განმტკიცება და დამყარება მართლ-მადიდებლობისა აღთქმის ქვეყანის მკვიდრთა შორის, რომელნიც აღიარებენ ჭეშმარიტებას და ხშირად ითმენენ შევიწროებასა სხვა-და-სხვა სარწმუნოების აღმსარებელ პირთაგან, —აშენება ტაძრებისა, გამართვა სკოლებისა, საავადმყოფოებისა და სხვა-და-სხვა თავშესაფარებისა ბავშვების აღსაზრდელად—ყველა ეს შეადგენს უცდომელ საშუალებას აღსასრულებლად აღნიშნულ მიზნისა. სახარების სიმართლის დასამტკიცებლად წინაშე ურწმუნოთა და იჭვნეულთა, საზოგადოება ამასაც არ სჯერდება; იგი ეძიებს დაფლულ საქრისტიანო ნაშთებს, ჰპოულობს შესანიშნავ ძეგლებს და ჰნიშნავს სამეცნიერო მოგზაურობათა და გამოკვლევათა. ყველა ეს კი თხოულობს უფრო მეტს ხარჯსა. მოქმედებს-რა ესე, სადიდებელად ღვთისა, იგი საზოგადოება იღვწის როგორც წარმომადგენელი მთელი რუსეთის მართლ-მადიდებელი ხალხისა, მის სასახელოდ.

ძნელი დასაჯერებელია, რომ ჭეშმარიტად მორწმუნე გულმა არ თანაუგრძნოს ამისთანა მაღალსა და წმიდა მიზანს საზოგადოებისას და არ იზრუნოს დიდებისათვის ღვთისა წმიდა ქვეყანაში შესაძლო ძღვნითა და შეწირულებითა. ნუ შეშფოთდება გული კეთილის საქმის შემწირველთა შეწირულების სიმცირითა; მოვიხსენოთ, როგორ დააფასა მაცხოვარმა წვლილი ქვრივი დედაკაცისა და ისიც რომ ყოველი შეწირულება, სულით და გულით მიწოდებული, გამოიწვევს როგორც წმიდა ქვეყანაში მოგზაურ მლოცველ რუსებში, ეგრეთვე თანამორწმუნე აღთქმის ქვეყნის მცხოვრებთა შორის მხურვალე სამადლობელს ლოცვას—წინაშე ცხოველსმყოფელის საფლავისა ქრისტესსა, რომელმანცა მოგვანიჭა საუკუნო ცხოვრება.

პალესტინის საიმპერატორო მართლ-მადიდებელი საზოგადოება, უკეთესტინის მისის იმპერატორებითი უმაღლესობის, დიდის მთავრის სერგი ალექსანდრეს ძის თავმჯდომარეობის ქვეშე მეოფი.

მოწოდება

სიონისათვის არა დავსდუმნე და იერუსალიმისათვის არა დავაცადო (ის. 62, 1).

ასე იტყოდა დიდი წინასწარმეტყველი ღვთისა ისაია, ძველი აღთქმის მახარობელი, რომელსაცა მრავალი იერუსალიმის ბედიდგან ედგა თვალ-წინ ვითარცა აწმყო.

უფრო მახლობელი, ღირს-სათაყვანო და ძვირფასია წმიდა ქალაქი იერუსალიმი ჩვენ, მართლ-მადიდებელ ქრისტიანეთათვის, რომელთაც წმიდად და შეუცვლელად გვაქვს დაცული სწავლა ქრისტესი და მისი მოციქულებისა. იქ არის გოლგოთა, რომელზედაც ქრისტემ ხელი განირთხო; იქ არის საფლავი ქრისტესი, წყარო, ჩვენის აღდგომისა; იქ

არის ქორი (პატარა ოთახი) სიონისა, სადაც მოციქულებმა მიიღეს სული წმიდა. იქ ყოველი ნაბიჯი აღბეჭდილია უფლისა ჩვენისა და მაცხოვრისა იესო ქრისტეს მოქმედებითა. აი ამის გამო ძველის დროიდგანვე მადლიერნი ქრისტიანენი, აღგზნებულნი წმიდა ქვეყნისადმი სიყვარულითა, მიეშურებოდნენ, მიუხედავად მრავალთა განსაცდელთა და გაჭირვებათა, თაყვანის საცემელად ქრისტეს საფლავისა. ქრისტიანე სული მიისწრაფებოდა ამბორის-ყოფად გოლგოთისა, რომელიც მაცხოვრის სისხლით შეღებილია, მუხლ-მოსადრეკად უფლის საფლავის წინაშე და თვისი მწუხარების წარმოსათქმელად. იერუსალიმი არის საყვარელი ადგილი მლოცველ რუსთათვის თითქმის ქრისტიანობის რუსეთში დაწყებიდგან. ამ უკანასკნელ წლებში განსაკუთრებით გაძლიერდა მლოცველ რუსების მოგზაურობა წმიდა ქალაქში. მლოცველ რუსთათვის იერუსალიმის გალავანს გარედ აღშენებულნი არიან თავშესაფარები. გარნა ეს შენობები, მოსაზრებულნი პირველში ათასი კაცის მოსათავსებლად, დღეს მეტად ვიწრონი შეიქმნენ. მლოცველთა სიმრავლემ გადააჭარბა მაშენებელთა მოლოდინს. ეხლა აუცილებლად საჭიროა გაფართოება და შესაფერისად მოწყობა მლოცველთა ბინისა, რომ შესაძლო იქნეს ერთ-დროებითად მოთავსება მათში არა ნაკლებ ექვსი ათასი მლოცველისა. ამისათვის საჭირო არის იქ აშენდნენ არა მარტო რიგიანი სადგომები საცხოვრებლად, არამედ სხვა საოჯახო შენობების გადიდებაც აუცილებელია. ხოლო ამისათვის საჭიროა საშუალება.

ყოველი რუს-მლოცველი წმიდა ქვეყანაში მისული ხედავს, რომ ღარიბნი და საცოდავნი ადგილობრივნი მართლ-მადიდებელნი, მკვიდრნი ქრისტესგან ნაკურთხის ქვეყნისა, მოკლებულნი არიან რიგიანად მოწყობილ ტაძრებს და სასწავლებლებს. მათნი სამღვდელო პირნი საბრალონი არიან სიღარიბისა და გაუნათლებლობისა გამო. ჩვენის მხრით კი სულ ცოტა რამეა საჭირო, რომ აღთქმის ქვეყნის მომაკვდავნი მართლ-მადიდებნლნი გამოვაცოცხლოთ.

ამიტომ, მართლ-მადიდებელნო ქრისტიანენო, თქვენდა სულის საცხოვნებლად, სასარგებლოდ თანამემამულე მართლ-მადიდებელ წმიდა ადგილების თაყვანისმცემელთა და იქაურ მართლ-მადიდებელ მცხოვრებთა, მოიღეთ შეძლებისადაგვარი დახმარება ფულის შემოწირვით ზემო-ხსენებულ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. ნუ გაგრილდება გული ჩვენი სიონისათვის, განძლიერდეს მოწყალება ჩვენი აღთქმის ქვეყნისათვის საიმპერატორო პალესტინის საზოგადოების საშუალებითა, რომლისა თავმჯდომარედ ბრძანდება კეთილ მორწმუნე ხელმწიფე, დიდი მთავარი სერგი ალექსანდრეს ძე. „რომელი მისცემს გლახაკსა, არა მოაკლდეს“ (იგავ. სოლ. 38, 27). „რომელი სწყალობს გლახაკსა, ავასხებს ღმერთსა“ (იგავი სოლ. 19, 17). „მოწყალება სიკვდილისაგან იხსნის და ცოდვათაგან განსწმედს. რომელნი იქმოდენ მოწყალებასა და სიმართლესა, დაიმკვიდრებდნენ ცხოვრებასა (ტოვიტ. 12, 9), ისინი გამართლდებიან წინაშე ღვთისა და დაიმკვიდრებენ საუკუნო ცხოვრებასა ზეციერს იერუსალიმში“. ამინ

პალესტინის საიმპერატორო მართლ-მადიდებელი საზოგადოება, მეოთი თავმჯდომარეობასა ქვეშე მისის იმპერატორებითის უმადლესობისა, სერგი ალექსანდრეს ძისა.

პეტერბურგი, ვოზნესენსკი პროსპექტი. № 36.

უწმიდეს სინოდთან არსებული სამოსწავლო რჩევისაგან.

უწმიდეს სინოდთან არსებული სამოსწავლო რჩევის დადგენილობით, 6—20 თებერვლიდამ 1901 წ. № 112, რომელიც დამტკიცებულია უწმიდესის წინოდის უფ. ობერ-პროკურორისაგან, დადგენილია: იაკობ გოგობაშვილის მიერ შედგენილი წიგნები: 1) რუსკოე სლოვო ანუ სასწავლო სახელმძღვანელო რუსული ენისა ქართული სკოლებისათვის. ნაწილი I (გამოც. VII, ფასი 40 კ.), 2) სახელმძღვანელო მასწავლებელ ქალთა და კაცთა, თუ როგორ უნდა ასწავლონ რუსკოე სლოვო (გამოც. 2, ფასი 60 კ. ყდით, ტფილისი, 1898 წ.)—მიღებულია სასწავლო სახელმძღვანელოდ საქართველოს საეკლესიო-სამრევლო სკოლებში.

მწყემსი

მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დაჰსდვის ცხოვართათვის. იოან. 10—11.

ფპოვე ცხოვარი ჩემი წაწყმედული. მსრეთ იყოს სიხარულ ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. ლუკ. 15—4.

მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენოთ თქვენ. მათ. 11—28.

№ 6 1883—1901 15—30 მარტი.

„კურთხეულ არს მოსავალი მეუფე, სახელითა უფლისათა..

და ვითარცა მიეახლა, იხილა ქალაქი იგი და, ჰსტიროდა მასზედა“...

ათას რვაას სამოცდა რვა წელიწადმა განვლო მას აქეთ, რაც ამ სიტყვებით აუარებელი ხალხი უგალობდა იესო ქრისტეს მის მოწაფეთათანა ქალაქ იერუსალიმში უკანასკნელად შესვლის დროს, აღტაცებულნი მისი სასწაულებით და ღვთაებრივი მოძღვრებით. აგერ 1868 წლის განმავლობაში ვრცელდება ქრისტეს უმაღლესი მცნება, სწავლა-მეცნიერება და სჯული. მეცნიერთა გამოკვლევით, მთელს დედამიწაზედ დღეს მიახლოვებით მცხოვრებთა რიცხვი არის ათას ხუთას ორმოცდა თუთხმეტი მილლიონი. ამდენ მცხოვრებლებში მხოლოდ მესამედია ქრისტიანე და ორი წილი კი ისევ სიბნელეში იმყოფება.

520 მილიონამდე სული ქრისტიანედ იწოდება, ქრისტეს მცნებას აღიარებს. ყოველ წლობით ეს ქრისტიანენი დიდის ამბით მოიგონებენ ქრისტეს ცხოვრებას ქვეყანაზე. შესანიშნავ მის მოქმედებათა და შემთხვევებს ქვეყნად ცხოვრების დროს, დიდის დღესასწაულობით მოიგონებენ ყოველივე ამას და პატივსა სცემენ ქრისტეს. აი დღესასწაული იესო ქრისტეს იერუსალიმში შესვლისა,—ბზობა. როგორც ებრაელნი, ჩვენც ვგალობთ: „კურთხეულ არს მომავალი მეუფე, სახელითა უფლისათა! ოსანა ძესა დავითისასა, ოსანა მაღალთა შინა“. შემდეგ იწყება ვნების კვირიაკე, შესანიშნავი დღენი ყოველ ქრისტიანეთათვის. შემდეგ ჩვენი მწუხარებისა და გლოვისა იწყება კვირიაკე სიხარულისა, ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომისა და ჩვენის ცხოვნებისა...

მოვიგონებთ რა მთელს ქრისტეს ქვეყნად ცხოვრებას, მის ქადაგებას, სასწაულებს, ვნებას და აღდგომას, ვკიცხავთ და ვაძაგებთ ებრაელთა გონებით დაჩლუნგებას, შეუგნებლობას და გულ-ფიცხობას. ამავე დროს ჩვენ გვავიწყდება მოვსთხოვოთ ჩვენს თავს ანგარიში: ღირსი ვართ ქრისტიანებად წოდებისა? მივიღეთ ჩვენ მისი სახარება? მივიღეთ ჩვენ მაცხოვრის მცნება? ვასრულებთ მას ჩვენს ცხოვრებაში? ამ კითხვების პასუხად მოგვყავს ერთი რუსის ფრიად შესანიშნავი სიტყვა, რომელიც დაბეჭდილია ჟურნალ «კორმჩი»-ს მე-8 №-ში. „ხატები ყველა ჩვენგანს აქვს ჩამოკიდებული სახლში, მაგრამ ჩვენს სულში არის ღმერთი? ჩვენ ვკიდებთ სახლში ხატებს, ვკიდებთ კანდელებს, ვანთებთ სანთლებს ან ზეთს და ამით სრულებით კმაყოფილი ვართ. აბა მობრძანდით, შეხედეთ, როგორი მორწმუნენი ვართ, ჩვენ გვწამს ღმერთი, მაგრამ ჩვენ ყოველ დღე, ყოველ საათში ვთელავთ ღვთის მცნებას, უარს ვყოფთ ეკლესიის ტიბიკონს, ხან-დის-ხან უტიფრად ვარღვევთ მის მცნებას და არც გვესმის, თუ რას ჩავდივართ. ვნუგეშობთ მით, რომ ხატები გვიკიდია სახლში—ამით ვკმაყოფილდებით და სრულებით არ ვცდილობთ, რომ ჩვენს სულშიაც იყოს ღმერთი. და რა საჭიროა ღვთისათვის ჩვენი საკმეველი და გალობანი, თუ ჩვენ საქმით არ ვემსახურებით მას და ცხოვრებაში ძესი ღვთაებრივი კანონისაებრ არ ვიქცევით? ღვთისათვის სასიამოვნოა გული წმიდა, უწმიდესი ოქროისა, მისთვის საჭიროა ძმა ძმის მოყვარული. მხოლოდ ამისთანა ძმისაგან შეიწირავს იგი გალობასა, შეიწირავს საკმეველსა, შეიწირავს მსხვერპლსა როცა ჩვენი მოქმედებანი ეთანხმებიან მის მცნებასა“.

„როდესაც მსაჯული ადგენს განაჩენს, ის ყოველთვის ეძებს კანონებს, რომელთა თანახმად წარმოსთქვამს მსჯავრსა. ჩვენ ვხელმძღვანელობთ საღმრთო წერილით? როცა რაიმეს ვმოქმედებთ, უნდა ვხელმძღვანელობდეთ საღმრთოწერილით, პირველად უნდა შევიტყოთ, შეიძლება თუ არა ისე მოქმედება, როგორც ჩვენ გვსურს? ვმოქმედობთ თუ არა ჩვენ თანახმად ღვთის სჯულისა, სიმართლისა და ჭეშმარიტებისა? საღმრთო წერილი გვაქვს დაწყობილი მაგიდაზე და ფიტონზე, მაგრამ ჩვენ ვსცდოვრებთ არა ამა წერილის თანახმად. ხატები გვიკიდია სახლში და .შირად ბევრიც, მაგრამ არ ვასრულებთ მათ მცნებას და სჯულს, რომელნიც არიან დახატულნი ამ ხატებზე. ჩვენ დავდივართ ეკკლესიაში, მაგრამ არ ვასრულებთ მის ტიბიკონს; ჩვენ სანთლები გვინთია ხატების წინ, მაგრამ ჩვენს გულში არ არის გაღვიებული მოყვასთა სიყვარული და ცხოველი სარწმუნოება. საღმრთო სჯული თავისთვის არის და ჩვენ ჩვენთვის, ქრისტე და ეკკლესია სულ სხვას გვასწავებს და ჩვენ კი სულ სხვა გვარად ვიქცევით,—წინააღმდეგ ქრისტეს სჯულისა, მაგრამ ჩვენ მაინც ვცდილობთ ვიწოდებოდეთ ქრისტიანებად“.

დიახ, სამწუხაროა დღევანდელ ქრისტიანეთა საქციელი. შფოთი, ჩხუბი და სხვა არა წმიდა საქციელნი, მტრობა, გაუტანლობა, დაუნდობლობა და სხვა ამისი მსგავსნი ნუ თუ არ ამტკიცებენ, რომ ჩვენ ჯეროვანად ვერ შევითვისეთ ქრისტეს მცნება და სახარება? არ კმარა, რომ შენ მარტო შენი ძმა შეიყვარო. შენ თუ ჭეშმარიტი ქრისტიანე ხარ აღჭურვილი ქრისტეს იმ სიყვარულითა, რომელსაცა იგი ითხოვს ქრისტიანეთაგან, უნდა გიყვარდეს ყოველი კაცი განურჩევლად თემისა და სარწმუნოებისა და შენთანა ერთი მორწმუნე უნდა გიყვარდეს, როგორც შენი ძმა, ვინც უნდა იყოს, ვინაიდგან ქრისტეს მიერ ყველანი ერთი ვართ. იქ, სადაც სუფევს ძალ-მომრეობა, ერთი მეორის დაჩაგვრა, ერთი მეორის ბატონობა და დამონება, არა არს ქრისტე...

იმ დროს, როცა იესო ქრისტე ასე დიდებით მიდიოდა იერუსალიმს და ხალხი, რომელიც მას უძღოდა წინ, უფენდა ბაიის რტოებს და უგალობდა „ოსანასა“, ქრისტე-კი სტიროდა. იესო ქრისტე გამზადებული იყო ნებსით ვნებად და სასტიკი წამების შემდეგ ჯვარცმად, მაგრამ იგი გრძნობდა რა იმ უბედურებას და დაქცევას, რომელიც მოელოდა იერუსალიმს, იტყოდა: „ვითარმედ უკეთუმცა გეცნა შენ დღესა ამას შვიდობად შენდა... რამეთუ გულისხმა ჰყავ ჟამი მოხედვისა შენისა“. ეს სიტყვები შეეხებოდა იმ დღეს იერუსალიმს. მაგრამ იგინი დღესაც არიან მოქცეულნი ჩვენდამო მოწყალე უფლისაგან სამხილებელად? შევიგნეთ თუ არა ჩვენ ჩვენი დრო მორჩილებისა და დრო ღვთის ნების შთაგონებისა? ჩვენ მონიჭებული გვქონდა ამისთანა დღენი და ჩვენთვისაც ჩვენს ცხოვრებაში დგებოდა ამისთანა ჟამი. ყოველი ჩვენი გულის გრძნობა ღვთის მადლისა, ყოველი ჩვენი სურვილი კეთილ საქმის აღსრულებისა, ყოველი ჩვენი სინიდისის კეთილ რჩევა და გულის თქმა, ყოველი ჩვენი სულის მოწყენილობა და უცოდველი ქვეყნიური სიხარული, ყოველი ჩვენი შთაგონება და აზროვნობა კეთილ-მოქმედებისა არიან ჩვენთვის ნიშანი ღვთის გამოცხადებისა. ყველას მიანიჭებს მოწყალე ღმერთი კიდევ დღეს მონანებად და შემდეგ ამა დღისა დაბნელდეს და შეიძლება აღარ გათენდეს. მაშინ აღსრულდება სიტყვა უფლისა: „აწ დაეფარა თვალთაგან შენთა“ და აღსრულდება მეორე სიტყვა უფლისა: «რამეთუ არა გულისხმა ჰყავ».

დეკ. დ. დამბაშიძე

ჩვენი სასისარულო და სამწუხარო შთაბეჭდილებანი ევროპის სახელმწიფოებში მოგზაურობის დროს.

(გაგრძელება*)

ანვაგრძეთ დათვალიერება სხვა-და-სხვა სახელმწიფოების პავილიონებისა. ვნახეთ აგრეთვე პავილიონი ბელგიისა, რომელიც წარმოადგენდა ბელგიის ქალაქის სურათებს, ხელმწიფის სასახლეს და სხვა-და-სხვა ადგილობრივ ხელოვნურ ნაკეთებსა და ნაწარმოებს.

ბელგიის პავილიონის შემდეგ დავათვალიერეთ ლიუკსენბურგის და ნორვეგიის პავილიონები. ნორვეგიის პავილიონი საინტერესო სანახავი იყო. სასიამოვნო სანახავი იყო აგრეთვე ფილიანდიის პავილიონი, რომელიც თავისი ნაწარმოები ნივთებით .არც ერთ პავილიონს არ ჩამოუვარდებოდა. აქ მშვენიერად იყო გამოფენილი ლიტერატურული ნაწარმოები და საზოგადოდ ისიც, თუ როგორ მიმდინარეობს პირველ დაწყებითი სკოლების და ხალხის განათლების საქმე.

შემდეგ მიყოლებული იყო პავილიონები: გერმანიისა, ისპანიისა, ბოლგარიისა, მონაკოსი, რუმინიისა, შვეციისა, საბერძნეთის და სერბიისა. ყველაზე მეტად შესანიშნავი იყო ამ პავილიონებში რუმინიისა და შვეციისა.

სენის მარცხნივ ნაპირას იყო გაცალკევებული მექსიკის რესპუბლიკის პავილიონი, რომელშიაც მეტის-მეტად ბევრი შესანიშნავი ნივთები იყო გამოფენილი. აქ თქვენს ყურადღებას უმეტესად მიიქცევდა მიწის მოსავალი. პავილიონში თვითონ მექსიკელები იყვნენ, რომელნიც მოშავონი არიან, მაგრამ განათლებით კი ბევრ თეთრ ხალხს სჯობიან.

ვნახეთ რუსეთის გამოფენაც, რომლის შესახებ მრავალი რამ იბეჭდებოდა გაზეთებში. მართლაც, საზოგადოდ ადგილიც კარგი იყო ამორჩეული რუ-

*] იხ. „მწყემსი“ № 4, 1901 წ.

სეთის გამოფენისათვის და თვით გამოფენა—ციმბირის მხარის ნაწარმოებით, ბუხარიის და კასპიის ზღვის იქითა ხალხთა ნაწარმოებებით და განსაკუთრებით სპარსეთის ხალიჩებით, ერთი შესანიშნავი პავილიონი იყო. ყველა ის ცხოველები, რომელთა ტყავებით და თმით შესანიშნავია რუსეთის სახელმწიფო, ისე ხელოვნურად იყო დადგმულნი, რომ ცოცხალი გეგონებოდათ. განსაკუთრებით პირ-დაღრენილი თეთრი და რუხვი დათვები საშიშარი სანახავი იყო. შეხავალ კარებში ორი დიდი დათვი იყო ყალყზე დამდგარი...

ამ პავილიონის ერთ განყოფილებაში იყო მოთავსებული საცოდავი ჩვენი—ქართველთა გამოფენაც. ჩემის აზრით, სრულებით რომ არა ყოფილიყორა ქართველების, ისა სჯობდა. მართალია ბევრს ცდილობდა ბ. ისარლიშვილი, მაგრამ არავის არ აღმოუჩენია, ვგონებთ, მისთვის შემწეობა და ამიტომაც ისე საცოდავი იყო ჩვენი პავილიონი ამ მსოფლიო გამოფენაზე. კარგი იყო, რომ გაცალკევებულად არ ყოფილიყო ეს პავილიონი... რომ სული ედგას ჩვენს ეგრედ წოდებულ ინტელიგენციას, განა არ შეეძლო მათ, რომ ჩვენი გამოფენა უმჯობესად მოეგვარებია? ლიტერატურული მხრით გამოფენა სამასხარო რამ იყო: ორი სამი გაზეთის „ივერიის“ ნომერი, ფურცელი და ნახევარი «ცნობის ფურცელი“ ძველი გამოცემისა, ერთი ქალის ტიკინი, რაჭველი მუშა, რომელიც გაბერილ ტიკს ეზიდება კურტნით და რომელსაც ვითომ ტიკის სიმძიმით თავი მიწაზე დაუბჯენია. ერთი სიტყვით უნდა ვსთქვათ, რომ ჩვენი კარგი არა ყოფილარა გამოფენაზე. ამ გამოფენის წყალობით, ვგონებთ, საქართველო არავის გაუცვნია და არც ქართველების რაიმე შეუტყვიათ; ან კი ვინ უნდა გაიცნოს ისინი, როცა თვითონვე ივიწყებენ თავიანთ თავს!.

პარიზის მსოფლიო გამოფენას სხვა დიდებულ პირთა შორის, იმ დროს როცა ჩვენ იქ ვიყავით, სპარსეთის შაჰიც ათვალიერებდა. ერთ დღეს, ვიღაც კაცს განეზრახა შაჰის მოკვლა. როცა შაჰი სხვა სამ კაცთან ერთად იჯდა ეტლში, მივარდა ბოროტ-განმზრახველი, დაუმიზნა რევოლვერი პირდაპირ გულზე და დასცა ჩახმახი რევოლვერისა; მაგრამ რევოლვერი არ გავარდა,—ფალია აიწვა. სპარსეთის შაჰისთან ეტლში ისხდნენ ერთი საფრანგეთის და ორი კი შაჰის მინისტრი. ერთმა მინისტრთაგანმა ამ ბოროტ-გამზრახველს ხელი სტაცა და გაუჩერა ის ხელი, რომელშიაც რევოლვერი ეკავა. ამ დროს პოლიციელებიც მოცვივდნენ და ბოროტ-განმზრახველი შეიპყრეს. იმ დღეს ეს ამბავი ბევრს არ გაუგია გამოფენაზე, მაგრამ მეორე დღეს კი ყველა გაზეთებში დაწვრილებით იყო გამოცხადებული. ჩვენ გვეგონა, რომ სპარსეთის შაჰი თავს დაანებებდა გამოფენის დათვალიერებას, მაგრამ იმას ერთი დღეც არ შეუწყვეტია გამოფენის დათვალიერება.

როცა საფრანგეთიდან წამოსვლას აპირებდა სპარსეთის შაჰი, მივიდა მასთან ერთი გამოჩენილი პარიჟელი გაზეთის თანამშრომელი და მისი ნახვა ისურვა. გაზეთის კორესპოდენტს მისცა ნება მათმა დიდებულებამ და მიიღო იგი. კორესპონდენტს სურდა გამოეკითხა და შეეტყო, თუ რა შთაბეჭდილება იქონია მათ დიდებულებაზე საფრანგეთმა და მსოფლიო გამოფენის დათვალიერებამ, ჰსურდა რომ ყველაფერი მას მოესმინა პირდაპირ მათი დიდებულებისაგან. მაგრამ უცხო ენაზე ლაპარაკი მათ დიდებულებასთან შეუძლებელი აღმოჩნდა და თარჯიმანი შეიქმნა საჭირო, რომლის საშუალებით ყველაფერი შეიტყო ამ კორრესპონდენტმა. ის, რაც უთხრა ამ კორესპოდენტს მათმა უდიდებულესობამ თავის მინისტრის თარჯიმნობით, მეტისმეტად შესანიშნავია და ამისთვის ნება გვიბოძეთ მკითხველო მოგახსენოთ აქვე. ეს საუბარი ჩვენ მოგვყავს იმ გაზეთიდამ, რომლის მთავარ თანამშრომლად ითვლება ეს კორრესპონდენტი.

„მართალია, უთხრა შაჰის მინისტრმა კორრესპონდენტს, მათმა დიდებულებამ კარგად იცის ფრანგული ენა და სრულიად თავისუფლადაც შეუძლია მუსაიფი ფრანგულად, მაგრამ ჩვენი სახელმწიფოის კანონებით არ შეიძლება სხვა, უცხო ენაზე ელაპარაკოს ვისმეს, ამისათვის მე გადმოგცემთ თქვენ რასაც მიბრძანებს მათი დიდებულება. შემდეგ აი რა გადასცა მათი დიდებულების მინისტრმა კორრესპონდენტს: „ჩემს სიცოცხლეში არ დამავიწყდება ის აღტაცებით და პატივისცემით მიღება, რომელიც მე აღმომიჩინა საფრანგეთის მთავრობამ და ხალხმა, არასოდეს არ დამავიწყდება ის სიამოვნება, რომელიც მე მივიღე პარიზის მსოფლიო გამოფენის დათვალიერებით. არ იფიქროთ, რომ ეს ჩემი სიამოვნება შეერყიოს იმ საცოდავი ბოროტი კაცისაგან ჩემი სიკვდილის განზრახვას და რევოლვერ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამხრეთ-ამერიკის რესპუბლიკების ბაგიდიობი და ბურების ფურმა.



ბელგიის ბაგიდიობი.



სერბიის ბაგიდიობი.

სროლას. ასეთი კაცები უბედურნი და საზარალონი არიან როგორც საზოგადოებისათვის, ისე თავიანთ თავისათვის. ისინი დაღუპულნი არიან და ყველასაგან შესაბრალისნი. ნურავინ იფიქრებს, რომ ვითომც მე პოლიციელების გამჭრიახობით და მათის წყალობით გადავრჩი იმ კაცისაგან სიკვდილს, არა, მე გადავრჩი სიკვდილს იმ ძალის წყალობით, რომელმა ძალამაც რევოლვერის გასროლა შეაჩერა შემდეგ ფალიის აწვისა. აი ამ ძალის წყალობით გადავრჩი მე სიკვდილს და გადავრჩი იმიტომ, რომ არ იყო მოსული დრო ჩემი სიკვდილისა. რაიცა შეეხება იმ საცოდავი და უბედური ბოროტ-გამზრახველის საქციელს, მე ისინი მებრალებიან, როგორც დაღუპულნი თავიანთ თავისა და საზოგადოებისათვის, მე მსურს ვსთხოვო საფრანგეთის მართებლობას, თუ შეიძლება კანონით, სულ აპატიოს მას ეს მისი საქციელი და გაუშვას; მე ვფიქრობ, რომ ეს პატიობა და მისი განთავისუფლება უმეტესი სასჯელი უნდა იქნეს ამისთანა დაღუპული კაცებისათვის, ვინემ ფიცხელი სასჯელი. თუ ეს კანონით არ შეიძლება, მე მაინც ვსთხოვ მართებლობას, რომ შეიბრალოს იგი და რაც შეიძლება შეუმცირონ მას სასჯელი.

ყველაზე უმეტესად მათ დიდებულებას მოეწონა პარიჟის მსოფლიო გამთფენა. ეს იქიდან სჩანს, ბრძანა ვეზირმა, რომ მათ დიდებულებამ ნამეტნავად ბევრი ნივთი იყიდა *) ეს ნივთები იყიდა მათმა დიდებულებამ თავისი ხალხისათვის, რომ აჩვენოს მათ და შეიტანოს თავის ხალხში კაცობრიობის გონების ნამოქმედარი. ეს ნივთები არის ნაყიდი სახელმწიფოს ხარჯით ხალხის დაუკითხვად ჩვენში არსებული კანონისამებრ. ამ უკანასკნელი სიტყვების თქმის დროს გაიღიმა მათმა უდიდებულესობამ და მოაგონა ამით კორრესპოდენტს, რომ ისეთი წესი არ არის მის სამფლობელოში, როგორიც საფრანგეთშია, საცა ასი მანეთის დახარჯვაც კი არ შეუძლია მართებლობას ხალხის წარმომადგენელთა დაუკითხავად. მე, უბრძანა თარჯიმანის პირით სპარსეთის შაჰმა კორრესპონდენტს, რომ ფულის შეძლება ყოფილიყო, არა თუ შესანიშნავ ნივთებს, არამედ მთლად ვიყიდდი მთელს გამოფენას. იმდენი სიამოვნება მივიღე და ისეთი აღტაცებული ვარ ყველაფრით საფრანგეთში, რომ ეხლავე დაბადებულია ჩემში სურვილი, კიდევ მოვიდე მეორედ პარიჟში.

ცამეტი წელიწადი ვიყავი პარიჟში, სთქვა შაჰის ვეზირმა, აქ მივიღე მე სწავლა, თუმცა დიდებული ადგილი მიკავია, მაგრამ მე ბედნიერად ვრაცხ ჩემს თავს, როცა აქა ვარ და ყოველს მოსვლაზედ დიდ სიამოვნებასაც ვგრძნობ.

ეს შესანიშნავი გრძნობანი და შთაბეჭდილებანი, კორრესპონდენტმა მეორე დღეს გაზეთის საშუალებით ქვეყნის პირს მოჰფინა.

«მწყემსის» კორრესპონდენცია.

(რაჭის მაზრიდან)

ბევრისაგან გამიგონია, ვითომ რაჭა განათლების მხრით იმავე შავ წერტილზე სდგას, რომელზედაც იდგა იგი რამოდენიმე ოცი წლის წინ, რომ იგი არის ერთი ყრუ და გაუნათლებელი მხარეთაგანიო. მაგრამ ასეთი შეხედულება რაჭაზედ უკიდურესია და უსაფუძვლო, რის წინააღმდეგ ლაპარაკიც კი არ ღირს, მხოლოდ ეს კი უნდა ვსთქვათ, რომ რაჭა განათლების მხრით ცოტად თუ ბევრად ჩამორჩენილია სხვა მხარეებსა: გურიასა, სამეგრელოსა და იმერეთსა, რაც წარმოსდგება სხვა-დასხვა მიზეზებისა გამო. და რადგან ამ მიზეზთა შორის უმთავრესად უნდა ჩაითვალოს შკოლების სიცოტავე—ამისათვის საჭიროა ორიოდე სიტყვა ვსთქვათ შკოლებზე.

ყველამ კარგად იცის, თუ როგორი მნიშვნელობა აქვს ხალხისათვის შკოლებსა. ეს უკანასკნელნი არიან ერთად ერთი საშუალება, რომლის შემწეობითაც სოფლელ ღარიბ მცხოვრებთ შეუძლიათ მისცენ თავიანთ შვილებს ცოტაოდენი სწავლა; მხოლოდ მათი შემწეობით შეიძლება განთავისუფლდეს ზოგიერთ სოფლებში მცხოვრებნი იმ უმეცრებისა და სიბნელის ბურუსიდგან, რომლითაც არიან იგინი მოცულნი. კიდევაც ამიტომ არის,

*) მართლაც, გამოფენაზე მრავალ ნივთებზე იყო დაწერილი შემდეგი: „მათმა დიდებულებამ სპარსეთის შაჰმ იყიდა“.

რომ მთავრობას მიუქცევია ყურადღება ხალხის ამ გვარ საჭიროებისათვის და დაუარსებია ეგრედ წოდებული „სამინისტრო შკოლები“. თუ რამდენად სასარგებლოა ეს შკოლები ხალხისათვის, ამაზე ლაპარაკი ზედ-მეტად მიმაჩნია, მხოლოდ უნდა ვსთქვათ, რომ ამგვარი შკოლებით, სამწუხაროდ, ბევრი სოფლები ვერ სარგებლობს. სამინისტრო შკოლა არ არის დაარსებული ყოველ სოფელში, ზოგიერთი სოფლები რამოდენიმე ვერსის მანძილზე არის დაცილებული შკოლასა და ცხადია, რომ ამ სიშორიდგან შკოლით სარგებლობა ძნელია. გლეხებს, სიღარიბისა გამო არ შეუძლიათ შვილების შკოლის ახლო დაყენება და ბავშებს კი სიარული უძნელდებათ (ნამეტურ ზამთრობით) შკოლაში. ამ გვარად გლეხები იძულებულნი ხდებიან თავი დაანებონ თავიანთ შვილების სკოლაში აღზრდას და იმავე ძველ გეგმაზე გაზარდონ იგინი, როგორადაც მათი წინაპრები იზრდებოდენ. მაგრამ აქ გლეხებს სხვა საშუალება გამოსჩენია: სამღვდელოებას, რომელსაც ხშირად აუყენებია ზნეობრივად და გონებრივად დაცემული ხალხი, დღესაც მიუცია ხელი საერო მთავრობისათვის და მასთან ერთად მოქმედობს ხალხის კეთილ-დღეობისათვის. იმ სოფლებში, სადაც არ არის სამინისტრო შკოლები, დაარსებულ არიან სამრევლო სკოლები; ამ უკანასკნელთა მართვა-გამგეობა და რიცხვით გამრავლება, უმეტეს ნაწილ სამღვდელო პირთ აქვსთ მინდობილი და ზოგიერთი ამათგანი პირნათლად ასრულებს თავის მოვალეობას. მათი ერთგული მეცადინეობით, არა თუ მარტო ერთ-კლასიანი, არამედ ორ-კლასიანი სამრევლო შკოლებიც კი გამართულან გურია-სამეგრელო და იმერეთში. ამ შკოლების შემწეობით გლეხებს ეძლევა საშუალება, რომ თავიანთი შვილები სრულებით უსწავლელნი არ დატოვონ. ამ გვარად, ეს ზემოხსენებულნი მხარენი ნელ-ნელა თავისუფლდებიან იმ ბნელი გაუნათლებლობის ბურუსიდან, რომელიც რამოდენიმე წლის წინად ფარავდა მათ. აქ თანახმად ხელ-მოკიდებულნი მოქმედებენ სამრევლო და სამინისტრო შკოლები, რომელთა წყალობით—ხალხი ზნეობითა და გონებით წინ მიდის. კიდეც ამიტომ არის, რომ გურიასა და სამეგრელოს მცხოვრებნი ამაყობენ თავიანთ მხარის განათლებით სხვა მხარეებთან შედარებით, რომელთა რიცხვს ეკუთვნის რაჭაც.

მართლადაც რაჭა, როგორც ზემოთ ვსთქვით, განათლების მხრით ცოტად თუ ბევრად ჩამორჩენილია ზემოხსენებულ მხარეებსა. მართალია აქაც არის შკოლები, როგორც სამინისტრო, აგრეთვე სამრევლოც, მაგრამ ეს შკოლები, როგორც რიცხვით, აგრეთვე მათში სწავლის საქმეც უკან არის ჩამორჩენილი. თუ გურია, სამეგრელო და იმერეთში, სადაც სოფლები ერთმანეთს აბია, მისვლა-მოსვლაც უფრო ადვილია, სამინისტრო შკოლებით ყველა სოფლები ვერ სარგებლობს, მით უმეტეს რაჭაშიდ, რომელიც წარმოადგენს მთა-გორიან ადგილებს, სადაც მისვლა-მოსვლაც ძნელია და სოფლებიც კაი მანძილზე არიან ერთმანეთს დაშორებულნი. დიახ, ხალხის კეთილდღეობისათვის აქ საჭირო იყო და არის სამრევლო სკოლები. პირველ ხანებში რაჭაც არ ჩამორჩენია სხვა მხარეებსა და დაარსებულა აქა-იქ ეს შკოლები. მაგრამ, სამწუხაროდ, საქმე ამით გათავებულა. როდესაც ასეთი შკოლების რიცხვი გურია-სამეგრელოში და იმერეთში თანდა-თან მატულობს, ერთ-კლასიან შკოლების ნაცვლად ზოგიერთ სოფლებში ორ-კლასიანი შკოლებიც კი იმართება, სადაც ამ წმიდა და პატიოსან საქმეს—ცოდნის შეძენას ხელს კიდებენ ვაჟებთან ერთად ქალებიც კი,—აქ, რაჭაში რიცხვი ამგვარი შკოლებისა პირველ წერტილზევე გაჩერებულა. არა თუ ორ-კლასიანი, არამედ ერთ-კლასიან შკოლებსაც კი მოკლებულნი არიან მრავალი სოფლები. ეხლა, თუ მივიღებთ ჩვენ მხედველობაში მას, რომ შკოლები არის ერთად-ერთი საშუალება ხალხის გონებრივად განვითარებისა სოფლებში, ადვილად მივხვდებით მასაც, თუ რატომ არის რაჭა განათლების მხრით უკან ჩამორჩენილნი სხვა მხარეებსა.

როცა ხედავს კაცი შკოლების ამგვარ მდგომარეობას რაჭაში, უნებურად ეკითხება თავის თავს: ნუ თუ სამღვდელოება, რომელიც ასეთ მონაწილეობას იღებს იმერეთში, გურიში და სამეგრელოში შკოლების საქმეში, აქ (რაჭაში) არ არის ისე მომზადებული ამ გვარი კეთილი საქმისთვის? მაგრამ რაჭა სამღვდელოების განათლების მხრით არ ჩამოუვარდება სხვა მხარეებსა; აქ მრავალნი არიან საშუალო სასწავლებელში კურს დამთავრებულნი და სულ უსწავლელს კი (ოთხი კლასი რომ მაინც არ ქონდეს გათავებული), ძვირთ შეხვდებით. მაშ რისი მიზეზია, რომ შკოლები რაჭაში ესე ცოტაა და

რაც არის, იმათაც საქმე უჭირსთ? ნუ თუ ეს განათლებული სამღვდელოება სრულებით არ ხედავს ხალხის საჭიროებას და არ ფიქრობს იმის დახმარებას. აქ შესაძლოა მოყვანა სხვა-და-სხვა მიზეზებისა: მისვლა-მოსვლის სიძნელე, უხერხული მდგომარეობა სოფლებისა და სიღარიბე ხალხისა. მართალია, ყველა ესენი აფერხებს სწავლა-განათლებას რაჭაში, მაგრამ ეს მიზეზები მაინც არ ათავისუფლებს იქაურ სამღვდელოებას საყვედურიდგან. ამისთანა დროს ასეთ კეთილ საქმეში, კაცს ერთი ორად მართებს შრომა და გულმოდგინება; გაუბედაობა და შიში მტერია ყოველ-გვვრი საქმის პროგრესიულად მიმდინარეობისა. შეიძლება მიპასუხონ: „აქ სამღვდელოება არაფერ შუაშიაო; რომ სკოლების რიცხვმა იმატოს, საჭიროა ხალხში იყოს მომზადებული ნიადაგი ამ საქმისათვის, საჭირო არის, რომ ხალხი თითონ გრძნობდეს შკოლების საჭიროებას. მაშინ სამღვდელოებაც გათამამდება, ააგულიანებს ისედაც მომზადებულ ხალხს შკოლების გასაკეთებლად და თავის მხრითაც მისცემენ მათ შეძლებისადაგვარად შემწეობას. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ ხალხი არ არის მომზადებული, თუ იგი არა გრძნობს სწავლა-განათლების საჭიროებას, ყოველი მეცადინეობა სამღვდელოებისა და სხვისიც უნაყოფოა, ყოველი ხმის ამაღლება ხალხში ამ საგნის შესახებ დარჩება ხმად მღაღადებელისა უდაბნოსა შინაო“. მართალი არის, რომ საქმის კეთილად წინმსვლელობისათვის საჭიროა ნიადაგის მომზადება. მაგრამ საქმეც იმაშია და მოთხოვნილებაც ისაა სამღვდელოებისაგან, რომ ამ უკანასკნელმა მოამზადოს ხალხში ნიადაგი შკოლების გასამრავლებლად.

სამღვდელოება ითვლება რაჭაში ერთად-ერთ განათლებულ საზოგადოებად და ყოველი იმედებიც ხალხის გონებრივად და ზნეობრივად განვითარების შესახებ მათზეა დამყარებული. მით უმეტეს, რომ იგინი მუდმივ ხალხში სცხოვრებენ, იციან მათი ჭირი და ლხინი და ყოველ გვარი საჭიროება. კიდევ ვიმეორებ: რაჭა ჩამორჩენილია სხვა ზემო მოყვანილ მხარეებსა. ამას გრძნობს ყველა, ვინც კი ცოტად თუ ბევრად დაკვირვებია საქმეს მღვდელი და ერი. შეიძლება ბევრი გულმტკივნეულად უყურებდეს ამ საქმეს, მაგრამ მარტო მწუხარება არ არის საკმარისი. ამ შემთხვევაში მე მაგონდება ის მენავეები, რომელთაც აღელვებული ზღვის დროს ნიჩბები დაჰყარეს და ღმერთს დაუწყეს ვედრება. საჭირო არის მოქმედება და არა ლითონი სიტყვა და უბრალო მწუხარება. წავიდა ის დრო, როდესაც მღვდლები გაუნათლებლები იყვნენ და მათაც წირვა ლოცვის მეტი არა ეკითხებოდათ რა. ეხლა დროთა ვითარება შეიცვალა: სამღვდელოთა უმეტესი ნაწილი ნასწავლია და ვისაც კი მეტი მისცემია, მას მეტიც მოეთხოვება.

იმედია, რაჭველი სამღვდელოება მიაქცევს ყურადღებას თავისი სამშობლო მხარის განათლების მხრით უკან დარჩენას და მიიღებს საჭირო ზომებს ხალხის გონებრივად და ზნეობრივად განვითარებისათვის, რისთვისაც პირველად საჭირონი არიან შკოლები.

მ. მ—ხი.

ეჟიმის საუბარი

გულისხმიერ მკითხველთან.

(წერილი მეორე)

ნიადაგი

ჩვენში ყველამ იცის, რომ ყოველი ადგილი და მისი ნიადაგი ერთნაირი არ არის, რომ როგორც ადგილ-მდებარეობას, ისე ნიადაგსაც სხვა-და-სხვანაირობა ეტყობა. ამისათვის ხალხი ნიადაგს სახელსაც სხვა-და-სხვას უწოდებს: ზოგს ეძახის აყალოს, ზოგს ქვიშნარს, ზოგს მძიმეს, ზოგს მჩატეს, ზოგს ეწერს და სხ. ამას ყველა გეტყვისთ, თუ რა განსხვავებაა თვითეულში, იმასაც კარგად განმარტავს ყოველი გამოცდილი ადამიანი, თუ რომელი რა მოსავალს იძლევა, ან რომელი სჯობს საყანედ, სავენახედ და სხ. მაგრამ რა თვისების არის თვითეული ამ ნიადაგთაგანი და რამდენად სასარგებლო ან მავნებელია ჯანმრთელობისათვის —ამას ყველა-კი არა, ათში ერთიც ვერ გეტყვისთ. არც არავინ დაეძებს მაინცადამაინც ამის დაკვირვებასა და დაფასებას. თუ-კი ოდესმე ვინმეს დაუდგამს სახლი, პაპის-პაპას ან მაზედ უფრო ადრე ვინმეს—შთამამავალი მისი ამ სახლს არ აიღებს,

რაც უნდა ნაკლოვანი იყოს სახლს ქვეშ და სახლის ახლოს მდებარე ნიადაგი. და თუ ვინმეს ახალი დასადგმელი აქვს სახლი—კედლებს თუ მოუყარა როგორმე თავი და ზევიდგანაც დახურა—სხვას არაფერს დაეძებს. დამშვიდებული იწყებს შიგ ცხოვრებას და მრავლებას და იმას-კი აღარ დაეძებს, ეს ნიადაგი აწყენს, თუ არგებს მის ჯანმრთელობას. როგორ მოიხდენს ეზო, ან საურმე შესავალი გზა, ან სამეზობლო ღობე—ამას ყველაფერს დაკვირვებით იგულისხმებს—მაგრამ როგორ მოიხდენს ამავე ადგილს მისი ჯანი—ეს მის ფიქრს არასოდეს არ გაუელვებს. თუ როგორმე იატაკი დაუგო სახლს, არც-კი ჰფიქრობს, თუ მან, რაც-კი იატაკის ქვეშ არის, რაიმე გავლენა შეიძლება იქონიოს აგებულებაზე, და თუ კარგად დატკეპნილ მიწაზე არის, მაშინაც ხომ არ ჰგონია, თუ მიწის ქვედა ნაწილებს რაიმე გავლენა აქვს მაზედ. ამით სოფლელი სრულებით დამშვიდებულია და თუ ავად გახდა, მაშინაც სხვა რაიმე მიზეზს დააბრალებს თავის ავადმყოფობას და არა სადგომისა და ნიადაგის ნაკლულევანებას.

მაგრამ ბუნებას მაინც თავისი გააქვს. იგი თავის კანონებს არავის გადაალახვინებს და ამ მხრით შეუბრალებელია მისი მსჯავრი. ვინც შეგნებულად ვერ ხვდება მის სხვა-და-სხვა თვისებასა და მოვლენას და ვინც ვერ ახერხებს მათის შეფარდებით ცხოვრების მოწყობას, იგი ადრე თუ გვიან უთუოდ დამარცხებული გამოდის. ამისათვის საჭიროა ცოტაოდნად მაინც შეგნება იმისი, რაც-კი აუცილებლად საჭიროა სხეულის რიგიანი არსებობისათვის.

დაწვრილებით რომ შევუდგეთ ნიადაგის გამოკვლევას—ეს შორს წაგვიყვანს და ბევრს ეგებ მოსაწყენადაც დაურჩეს. ჩვენ მოვიხსენებთ მხოლოდ უმთავრესსა და უსაჭიროესს, იმასაც მოკლედ.

მიწის ზედა-პირი მრავალ-ნაირია ⁄ ჩვენც სხვა-და-სხვა სახელის დარქმევით ვარჩევთ მათ, იმის და მიხედვით, თუ რომელი შემადგენელი ნაწილი სჭარბობს მასში, ვეძახით ქვიშნარს, კაჟნარს, აყალოს, თიხნარს, ეწერს მიწას. ეს ნიადაგის ზედა-პირი იცვლება ფოთლებისა და ტოტების დაცვენითა და ლპობით და აგრეთვე შემთხვევით ანუ განზრახვით ყოველ-გვარ ნაკელისა და სიუწმინდურის დაცვენით. უმთავრესი მნიშვნელობა აქვს ნიადაგის გამოკვლევაში და მის ღირსების აწონ-დაწონვაში წყალს, იმ ნოტიოს, რაიც-კი თვით მიწაშია გამჯდარი. მხოლოდ ამ წყლის საშუალებით არის, რომ ინახება, ვრცელდება და ვითარდება მრავალ-ფეროვანი მავნე შთანასახები, საიდგანაც ჩნდება სხვა-და-სხვა სენი. მიწაში გამჯდარ წყლის რაოდენობაზე უმთავრესად აქვს გავლენა: ზევიდგან დანაცემს წყალს, აორთქლებას მიწაში მყოფ ნოტიოსას, გავრცელებას ამ წყლისას თვით ნიადაგში და იმასაც, თუ რამდენად გამტარებელია წყლისა თვით ეს მიწა. წყალი ეცემა მიწაზე წვიმის, ნამის (ცვარის) და თოვლის სახით. რამოდენიმე ნაწილი ამისი აორთქლდება ესე იგი შრება, ნაწილი მიდის მიმდინარე წყლად, პატარ-პატარა ღელეებად და წყლებად და მცირეოდენი-კი უჯდება სიღრმეში თვით დედა-მიწას. ნიადაგის მიხედვით ეს წყალი უჯდება მიწას ღრმად ან არა. ზაფხულში ღრმად არ მიდის, მიტომ რომ მალე შრება, ზამთარში-კი, რადგანაც აშრობა ძნელია, უფრო ღრმად უჯდება მიწას ნოტიო და წყალი. მიწის ზედა-პირზე მყოფი წყალი ადვილად შრება მზის სხივებისაგან; ამ აშრობით იგი იზიდავს ქვედა შრეებიდგან, უფრო ღრმად მყოფს წყალს ზედა-პირისაკენ, და ამნაირად ხდება მუდმივი აორთქლება მისი. ხოლო, რაც შეეხება გამტანობას წყლისას, თუ რამდენად შეუძლია მიწას გაუჯდეს, ეს დამოკიდებულია თვით ძის აგებულებაზე. ქვიშნარ მიწას (სილა-ნარევს) ადვილად უჯდება წყალი, აყალოსა და თიხნარს კი არა, რადგანაც წყლით იჟღენთება იგი, ალიზის მსგავსად ხდება და არ უშვებს წყალს, ზედ ირჩენს. ამას-კი დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგანაც, რაც უფრო ღრმად ჩადის წყალი, მით უფრო იწმინდება და მით უფრო კარგია დასალევად და მავნე ნაწილებისაგანაც დაწმენდილია. მიწის შემადგენელ ნაწილებს მარტო წყლის რაოდენობაზე არა აქვსთ გავლენა, არამედ ჰაერის რაოდენობაზედაც. რამდენადაც ფხვიერი და მსხვილია მიწის შემადგენელი ნაწილები, მით უფრო ადვილად ჩადის მათში ჰაერი და ჭარბად არის, და რაც უფრო მკვრივია მიწა და მისი ნაწილაკებიც მეტად წმინდა და ახლო-ახლოს მყოფი, მით უფრო ძნელად გაატანს მათში ჰაერი. ქარი ამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიწაში მყოფ ჰაერს ამუშავებს, და ცვლილებას აძლევს.

მიწის ზედა-პირს ბევრი სიუწმინდურე ეცემა თუ ადამიანის, თუ პირუტყვების—რაიც წლიდგან-წლამდე მეტად დიდს რაოდენობას შეადგენს. ყოველივე ეს საბედნიეროდ, უცვლელად არ რჩება მიწაში, ხრწნილებას ეძლევა და იცვლება მცენარეთათვის საჭირო და სასარგებლო ნივთიერებად. როგორც გამოკვლეულია მსხვილ ნაწილაკებიან მჩატე მიწაში 38 დღეა საჭირო, რომ მიწის სიუწმინდურე გაუჯდეს ერთი ალაბის სიღრმეზე, ხოლო მკვრივე, პატარა ნაწილაკებიან, მაგარ მიწაში 114 დღეა საჭირო ამავე სიღრმისათვის, ესე იგი ერთი სამად უფრო მეტი დროა საჭირო.

მიწის ზედა-პირზე აგრეთვე მრავლისგან უმრავლესი მიკრობები არის, ესე იგი წვნიკი, თვალთუჩინარი სხეულები, შთანასახები. ეს წვნიკი სხეულები ორ ჯგუფად გაიყოფიან, ერთია—სასარგებლო და მეორე მავნებელი. სასარგებლოს იმათ ეძახიან, რომელნიც ეხმარებიან ხრწნილებას და საზრდოს აძლევენ მცენარეულობას. უამათოდ მიწაში დაგროვილი სიუწმინდურე ვერ შეიცვლებოდა და ვერ მიეცემოდა ხრწნილებას, და ვერც მცენარეულობა იშოვიდა საჭირო საზრდოს. მავნებელს-კი მათ უწოდებენ, რომელნიც მხოლოდ სხვა-და-სხვა სენს აჩენენ და ამით თავ-მომაბეზრებელი არიან ადამიანისათვის. მაგალითად მუცლის ხურვების ბაცილლა, სხვა-და-სხვა ციების შთანასახი და ბევრი სხვა ავადმყოფობის შთანასახებიც მიწაში ინახებიან და დიდხანსაც სძლებენ ისე, რომ თავის ძალას არა ჰკარგავენ. მიწის ჭიებს (ჭიაყელას) მუშაობის დროს ამოაქვსთ იგინი ქვეიდგან ზევით, ან და თვით წყალს ჩააქვს თან ჭებში და მდინარეებში.

(დასასრული იქნება)

მეგობარი.

რაი გრძნობა დამესახა,
თან მომეძღვნა მეგობარი,
და მას აქეთ ის კეთილი
განუყრელად ჩემთან არი.

—

მის რჩევას და ტკბილ საუბარს
მრავალ გზობით დაუტკბივარ
თან გულ ახდილ იმის მხელას
ხშირად გონში ჩაუგდივარ.

—

ვით წინ-მძღოლი ლამპრით ხელში,
ეკლიან გზას ის მინათებს,
და ბეჯითად წარმიხოცავს,
შხამსა და გესლს, გულში ნადებს.

—

მეც მას ისე შევეჩვიე,
როგორც ბალღი, ღვიძლსა დედას,
და მის ძალით შეპყროობილსა
ურჩობა ვერ გამიბედავს.

—

თუ ხან-და-ხან მოქანცული
თვალს ხუჭავს და ინაბება,
განზე ხელის საფათურად
მძორი მყისვე ესწრაფება.

—

გაიღვიძებს, კვალად მამხელს,
გამიქარწყლებს საღერღელსა
და უკანვე წარმიტაცებს
ბოროტისკენ გაწვდილ ხელსა.

—

მოუსვენრად ზრუნავს მისთვის,
რომ კეთილსა ჩავდიოდე,
და ამ წუთის სამყოფელში
პირნათელი დავდიოდე!

—

როს სამუდმოდ შემიწყდება
სულის ლტოლვა გულის ცემა
და სამარის შავი მიწა
გულზე ბელტად დამეცემა,
მაშინ იგი ჩემ სამარეს
დაედგმება ყარიბ ძეგლად,

რომ სახელი გამიხადოს
სახსოვარად, სახსენებლად!

—

გმადლობ, გმადლობ, მოწყალეო,
რომ ის მცველი აქ მომმადლე
და ხან-მოკლე არსებობა
უმისოდ არ გამიქარწყლე!..

—

გვედრებ, მისცე ურწმუნოთაც
ამისთანა მეგობარი,
რათა ამცნოს, შეაძულოს
საქმე მათი საზიზღარი.

N

ახალი ამბები და შენიშვნები.

—

სარწმუნოებრივი სულის გაღვიძება ინგლისში. არ ყოფილა დრო, როდესაც სარწმუნოებრივი გრძნობა ისეთ უმაღლეს წერტილამდინ ასულიყოს სადმე, როგორიც დღეს ინგლისშია. ამას წინედ ექიმ ხილისს წარმოუთქვამს სიტყვა ლონდონში, რომლითაც მიუქცევია ყველას ყურადღება—საყოველთაო სარწმუნოებრივ გამოღვიძებაზედ ინგლისის საზოგადოების სხვა-და-სხვა წრეებში; სხვათა შორის ამ ექიმს უთქვამს შემდეგი: „საზოგადოებას აღეძრა სურვილი ღვთის-მეტყველების შესწავლისა, ღვთისადმი მტკიცე სასოებამ დაიჭირა ადგილი ურწმუნოებისა. დადგა დრო, როდესაც ყველას სურს ღვთისმეტყველი გახდეს. იმათ, ვინაც ამ ოცი წლის წინეთ ააგეს სასწავლებელი, კარგად ესმით ის, თუ რა მრავალ-მნიშვნელოვანია საზოგადო ცხოვრებაში ასეთი მიმართულება. უწინ ძლიერ გავრცელებული იყო უღმრთოების მქადაგებელი წიგნები ანუ მატერიალისტთა, რომლებიც ღვთის არსებას არ აძლევდენ ამ ქვეყნად ადგილს; ხოლო ეხლა კი საზოგადოებას აშკარად ეტყობა მიდრეკილება სარწმუნოებისადმი. ყველანი მუხლ-მოდრეკით თაყვანსა სცემენ საბრძანებელსა ღვთისასა და ისეთი ურწმუნოებიც კი, რომლებიც უკიდურესობაში ვარდებოდენ, იძულებულნი არიან დამარცხებულად იცნონ თავიანთ თავი წინაშე ღვთის-მეტყველებისა.

* *
*

სასიხარულოდ უნდა ავღნიშნოთ, რომ თითქმის ყველგან, წარსულ წელთან შედარებით ამ წელში (დიდ მარხვაში), მაზიარებელნი მეტი იყო ჩვენში, მიუხედავად მისა, რომ პირველ კვირას ცუდი ამინდები იყო.

* *
*

ქუთაისის ქალაქის საბჭოს ზალაში კარგი ხანია დაწყებულია ლექციების კითხვა მევენახეობაზე, მებაღეობაზე, მეაბრეშუმეობაზე და ქათმების მოშენების შესახებ. ზოგიერთი ლექციები მართლადაც ძლიერ სასარგებლონი არიან ხალხისათვის, მაგრამ მსმენელნი ძლიერ ნაკლებად დადიან. დადიან ხან-და-ხან კარგად მორთულნი მანდილოსნები, მაგრამ საქმისთვის კი არა, არამედ მოწყენილობისა გამო, რადგან სხვა გასართობი არა არისრა ამ დიდ მარხვაში...

* *
*

დიდი ხანი არ არის, რაც გამოცხადდა მათი მეუფების, იმერეთის ეპისკოპოსის ლეონიდის, განკარგულება თვალთ-მაქცურ და სამარცხვინო გარდაცვალებულთა გამოტირილის შესახებ. ამ განკარგულებას შეგნებული საზოგადოება სიხარულით მიეგება და იმედია მცირეს ხანში ბოლო მოეღება ამ ცუდ ჩვეულებას და, ნაცვლად სამარცხვინო ჩვეულებათა აღსრულებისა, დაწესდება რიგიანი და შესაბამი პატივისცემით გარდაცვალებულთა დასაფლავება...

ეპისტოლეა ხელის-მოწერა 1901 წლისათვის ორ კვირეულ გამოცემათა ქართულს

„მწყემს“-ზე

❧

რუსულ «ПАСТЫРЬ»-ზე

ჟურნალის ფასი:

12 თვით «მწყემსი» 3 მ.	6 თვით «მწყემსი» 2 მ.
— „ რუსული „ 3 მ.	— „ რუსული „ 2 „
— „ ორივე გამოცემა 5 „	— „ ორივე გამოცემა 3 „

გაზეთზე ხელის-მოწერა შეიძლება როგორც **ვვირილაში**, აგრეთვე **ქუთაისშიაც. თბილისში** წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, ბ. შიო ქუჩუკაშვილთან. **ფოთში**—დეკანოზ მ. გრიგოლ მაჭაროვთან; **საჩხერეში**—ყარაბ ჩხეიძესთან; **ახალციხეში**—დეკანოზ დ. ხახუტოვთან; **ახალსენაკში**—ბლაგოჩინ მაია არისტარქ კალანდარიშვილთან.

სოფლის მასწავლებელთ და ლარიოთ გაზეთები **დაეთმობათ** მთელის წლით ორივე გამოცემა **სამ მანეთად**.

რედაქციას აქვს კანტორები: **ქუთაისში** დეისაძის სახლებში და **ვვირილაში** რედაქტორის საკუთარ სახლებში.

ბარეშე მცხოვრებთ ჟურნალის დაბარება შეუძლიათ ამ ადრესით: Въ Квирилы, въ редакцію газеты и журнала „МЦКЕМСИ“ и «ПАСТЫРЬ».

რედაქციაში მოიპოვება წარსული წლების რამდენიმე სრული გამოცემანი „მწყემსი“-სა, რომელნიც ნახევარ ფასად დაეთმობათ მსურველთ.

1901 წლის ხელის მომწერთ **პრემიად** (საჩუქრად) აქვსთ დანიშნული **დიდი სურათი** ყოვლად სამღვდელო ლეონიდისა, იმის მსგავსი, როგორიც არიან შოთა რუსთაველისა და თამარის. ხელის მომწერლებმა უნდა შემოიტანონ ფოსტის ზედ-მეტ ხარჯად ორი შაური. ამ პრემიის გასაგზავნი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კერძო საავათმყოფო ამბულატორიითურთ

ს. ბ. თოფურიას.

ქ. ქუთაისში.

საავათმყოფოში დგას ორმოცი საწოლი. ხირურგიულ, გინეკოლოგიურ და შინაგან სენით ავათმყოფთათვის. მუწუკებიანი და გადამდები სენით ავათმყოფნი არ მიიღებიან. მოსიარულე ავათმყოფნი მიიღებიან ყოველ დღე 11 საათიდან შუადღის 3 საათამდე.

შინაგან დანერვებით ავათმყოფებს მიიღებს

ექ. ს. ბ. თოფურია.

ქირურგიულ შარდით სიფილისით და თვალების ავათმყოფობისათვის.

ექ. ფ. კ. ბერრატი.

დედაკაცურ ავათმყოფთა და სამეანო ქალი.

ექ. მ. ფ. კოგანი.

რჩევა დარიგების ფასი 50 კ., კონსილიუმის ფასი 3 მ. დღე და ღამე ქირა საავათმყოფოში სრული სარჯით და ექიმობით 2—3 მანეთამდე. ოპერაციის ფასი გარიგებაზეა.

სამკურნალოს დირექტორი ს. ბ. **თოფურია.**

შინაარსი:

ოფიციალური განყოფილება: მოძღვრის საუბარი იერუსალიმისა და მწ. ქვეყნის მართლ-მადიდ. დახმარებაზე.—მოწოდებანი მართლ-მადიდებელ ქრისტიანეთადმი.—უწმ. სინოდთან არსებული სამოსწავლო რჩევისაგან.

საილტერატურო განყოფილება: კურთხეულ არს მომავალი მეუფე, სახელითა უფლისათა... და ვითარცა მიეახლა, იხილა ქალაქი იგი და, ჰსტიროდა მასზედა.—ჩემი სასიხარულო და სამწუხარო შთაბეჭდილებანი ევროპის სახელმწიფოებში მოგზაურობის დროს.—„მწყემსის“ კორრესპონდენცია.—ექიმის საუბარი გულის-ხმიერ მკითხველთან.—მეგობარი (ლექსი).—ახალი ამბები და შენიშვნები.

—განცხადება.

რედაქტორ-გამომცემელი დეკ. დ. ღამბაშიძე. Редакторъ-Издатель П. Д. Гамбашидзе.

Дозволено цензурою, Тифлисъ, 27 Марта *1901 г.* ✦ *Цензоръ прот. Е. Еліевъ*

Типог. редакціи журн. „Пастырь“ (П. Д. Гамбашидзе) въ Кутаисѣ. въ д. А. Дейсадзе на Нѣмецкой ул.